სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა მორიგი
საერთო კრების სხდომის ოქმი № 01/2011

ქ.თბილისი, ჭანტურიას 14 24 ივნისი 2011

ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის სს „კავკასრეესტრის" ინფორმაციით, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებოდნენ აქციონერები და აქციონერთა წარმომადგენლები, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციებს 142 575 717 რაოდენობით, რაც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით, ე.ი. 2011 წლის 27 მაისის მდგომარეობით, შეადგენს ხმათა საერთო რაოდენობის 96,286149 %. საქართველოს კანონის "მეწარმეთა შესახებ" 54-ე მუხლის 5 პუნქტის შესაბამისად ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, ვინაიდან კრებას ესწრებოდა კაპიტალის 96,286149 %-ს მფლობელი აქციონერები. ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო 2011 წლის 3 ივნისს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" საიტზე www.matsne.gov.ge.

ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე.

ბანკის წესდების 5.8 მუხლის თანახმად, დამსწრე აქციონერების ხმათა უბრალო უმრავლესობით ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნა ნინო დავითის ასული კანდელაკი.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების თავმჯდომარემ - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა არჩილ რესანის ძე კონცელიძემ წარმოადგინა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი № 04/2011, 25.05.2011 წელი, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი) აქციონერთა წლიური საერთო კრების დრის წესრიგი.

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის მიერ 2010 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე);
2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2010 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC-ის 2010 წლის ანგარიშის განხილვის შესახებ (მომხსენებელი - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე);
3. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" მიერ 2010 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გაცემის შესახებ (მომხსენებელი - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე);
4. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2011 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე);

5. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის გ. ლომიძისათვის ყოველთვიური ანაზღაურების დაწესების შესახებ (მომხსენებელი - სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე).

---

3. მოისმინეს: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მთავარი ბუღალტრის – მ.ჯიჯავაძის ინფორმაცია სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" 2010 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით მოგების არარსებობისა და დივიდენდების გაცემის შესახებ, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" წესდების 5.10 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 142 575 717 ხმა;

მოწინააღმდეგე 0 ხმა;

თავი შეიკავა – 0 ხმა.

დაადგინეს:

3.1. სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" 2010 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC 2010 წლის ანგარიშის გათვალისწინებით (წინამდებარე ოქმის დანართი № 2) ცნობად იქნას მიღებული სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" 2010 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით მოგების არარსებობა და არ მოხდეს დივიდენდების გაცემა სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" 2010 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით.